ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

აპოლონ თაბუაშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ /
არქივთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელი,
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

მძევლების საკითხი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში (1784-1798 წწ.)*

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ საქართველოდან რუსეთში, მინისტრ-რეზიდენტად დანიშნულ გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად, გაემგზავრნენ ერეკლე II-ის ვაჟები – 17 წლის მირიან და 20 წლის ანტონ (ერისკაცობაში თეიმურაზ) ბატონიშვილები.

ქართველი ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1885 წელს გამოქვეყნებულ მცირე მოცულობის ნაშრომში – „კათალიკოზი ანტონ II“ – მოსე ჯანაშვილი აღნიშნავდა: „...ერეკლემ გაგზავნა მთელი საელჩო, რომელიც შესდგებოდა მეფის ძეებით: ანტონით (ამ დროს თეიმურაზი ბერად აღკვეცილიყო) და მირიანით და გარსევან ჭავჭავაძით. როგორც სჩანს, ელჩებს მშვენიერად შეუსრულებიათ მათდამი მინდობილი საქმე, ... მეფის ძეს მირიანს, 17 წლისას ებოძა პოლკოვნიკობა და დაინიშნა უფროსად ყაბარდოს ქვეითი პოლკისა, ... მეფის ძე ბერი და იერო-დიაკონი ანტონი დაშთა რუსეთშივე და 1784 წელს, მეფის ერეკლეს თხოვნით ცარსკი-სელოს სასახლის ეკკლესიაში, იმპერატრიცის და მისი უმაღლესი სასახლის წევრების თანდასწრებით, კურთხეულ იქმნა ეპისკოპოსად, სახელ-წოდებით ნინოწმინდელი. ახლად კურ-

* კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, № FR-23-11173 / This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG), № FR-23-11173.

თხეულ ღვდელ-მთავარს ეკატერინე II-მ უბოძა ძვირფასი, ბრილიანტებით შემკული პანაგია. იმავე წელიწადს მეფე ერეკლემ დანიშნა იგი ალავერდელად, ხოლო რუსეთიდამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1788 წ., 29 თებერვალს აღესრულა რა უნეტარესი კათალიკოსი ანტონ I, იმავე წელიწადს, 29 ოკტომბერს დაინიშნა იგი კათალიკოსად საქართველოისა".[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ანტონ და მირიან ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრების საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში უმთავრესად მ. ჯანაშვილის მსგავსადაა შეფასებული.[2] ზოგიერთ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ბატონიშვილები პეტერბურგში იმპერატორის სურვილის შესაბამისად გაემგზავრნენ, თუმცა ყურადღება მათ კარიერულ წინსვლაზეა გადატანილი.[3] ამ შემთხვევებშიც რჩება შთაბეჭდილება, რომ ანტონი და მირიანი რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფო კარის ინტერესების გათვალისწინებით უნდა წასულიყვნენ. ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებასაც. ნ. ბერძენიშვილი, მიმოიხილავდა რა რუსეთის არქივებში დაცულ ცნობებს, ბატონიშვილების რუსეთში გაწვევის ფაქტს „ძველი მძევლობის გადმონაშთს" უწოდებდა,[4] რაც ზოგიერთმა ავტორმაც გაიზიარა.[5]

მიუხედავად გაჟღერებული მოსაზრებებისა, ანტონ და მირიან ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრების საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელია. მათი სტატუსის განსაზღვრისათვის კი აუცილებელია წყაროთა მონაცემების დეტალური ანალიზი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებულ რუსეთის მთავრობის მიერ გაცემულ დოკუმენტში ანტონ და მირიან ბატონიშვილები მძევლე-

---

[1] მ. ჯანაშვილი. კათალიკოზი ანტონ II. გაზ. მწყემსი. № 1, № 2. 1-15 იანვარი, 1885, გვ. 10; 6.

[2] იხ.: პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი. თფილისი, 1900, გვ. 188; ე. ბუბულაშვილი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ. 2002, გვ. 10-11; ა. როგავა. ანტონ II. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. მთ. რედ. ირ. აბაშიძე. თბ. 1975, გვ. 498; მ. ბერძნიშვილი. მირიან ბატონიშვილი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 7. თბ. 1984, გვ. 12 და სხვა.

[3] იხ.: П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. II. СПб. 1869, გვ. 130; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II. СПб. 1886, გვ. 19-20; მ. დუმბაძე. პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 695, სქოლიო 1.

[4] ნ. ბერძენიშვილი. საანგარიშო მოხსენება მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისა (1946 წ.). საქართველოს ისტორიის საკითხები. IV. თბ. 1967, გვ. 166.

[5] იხ.: გ. ჟუჟუნაშვილი. „ამანათობის" ინსტიტუტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში. მასალები სალექციო კურსისათვის: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მეათე საუკუნიდან 1810 წლამდე. თბ. 2015, გვ. 100.

ბად არ მოიხსენებიან. ანალოგიურად, ისინი მძევლებად არც საქართველოდან რუსეთში გაგზავნილ წერილებში არ იწოდებიან. პეტერბურგში მათი ღირსეული მიღებისა და მზრუნველობისათვის ერეკლე II გენერალ-ანშეფ გრიგოლ პოტიომკინს მადლობასაც კი უხდიდა და დასძენდა: „ვერ დავსთმეთ, რომ არ მოგვეწერა თქვენის უგანათლებულესობისათვის. ჩემის შვილებისაგან და ჩუჷნის მინისტის კნიაზ ჭავჭავაძესაგან მოწერილი თქუჷნის უგანათლებულესობისგან თავეთი მიღება და თქუჷნი იმათზე მამებრ მზრუნველობა. ვნატრი იმათს ბედნიერობას, რომ ღირს იქმნენ თქუჷნს მზრუნველობასა“.[6]

ერთი შეხედვით, იკვეთება ვითარება, რომ ერეკლე II-მ საიმპერატორო კარზე შვილები მართლაც საკუთარი სურვილით გაგზავნა. მეორე მხრივ, სრულიად ალოგიკურია, რომ გარსევან ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით რუსეთში გაგზავნილი საელჩოს შემადგენლობაში ბატონიშვილებიც ყოფილიყვნენ მოაზრებულნი. საქმე ის არის, რომ მინისტრ-რეზიდენტთან შედარებით, მას რაც არ უნდა მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონოდა დაკისრებული, მეფის შვილების რანგი გაცილებით მაღალი იყო. შესაბამისად, შეუძლებელია ისინი ქართული საელჩოს დელეგაციის წევრები ყოფილიყვნენ.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების პროცესში ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრების საკითხი დღის წესრიგში არც კი დამდგარა. როგორც დოკუმენტური მასალით ირკვევა, რუსული მხარე, დასახელებული ბატონიშვილებიდან, პირველად მირიანის პერსონით დაინტერესდა, თუმცა ეს ფაქტი მის გაწვევასთან არ იყო დაკავშირებული. კონკრეტულად კი, მფარველობის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში გრიგოლ პოტიომკინი 1782 წლის დეკემბერში ეკატერინე II-ს ატყობინებდა, რომ სომეხი არქიერის[7] რჩევით, ერეკლე II-ის კეთილგანწყობას მოიპოვებდნენ თუ მის უმცროს ვაჟს მირიანს წმინდა ანას ორდენით დააჯილდოვებდნენ.[8] აღნიშნული წარდგინების საფუძველზე მირიან ბატონიშვილს 1783 წლის მაისის დასაწყისში მართლაც გადაეცა ჯილდო.[9]

[6] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა). ფონდი 1449, საბუთი № 2893.

[7] უნდა იგულისხმებოდეს იოსებ არღუთიანი.

[8] Из истории российско-грузинских отношений. К 230-летию заключения Георгиевского трактата. Сборник документов. Москва, 2014, გვ. 122-123.

[9] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), H-2300, გვ. 9.

რაც შეეხება მირიან ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების საკითხს, მასზე მსჯელობა მხოლოდ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ დაიწყო. როგორც ნ. დუბროვინი მიუთითებდა, მეფის ვაჟის რუსეთში გამგზავრება დაკავშირებული იყო სამხედრო კოლეგიის განკარგულებასთან. საარქივო დოკუმენტზე დაყრდნობით ავტორი აღნიშნავდა, რომ 1783 წლის 18 აგვისტოს 17 წლის მირიანს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭა, რის საფუძველზეც იმპერატორმა ის რუსეთში მიიწვია.[10]

მირიანის მსგავსად, ანტონ ბატონიშვილიც ტრაქტატის დადების შემდგომ ეკატერინე II-ის სურვილის საფუძველზე გაიწვიეს. კერძოდ, იმპერატორის 1783 წლის 30 სექტემბრის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ კეთილგანწყობის ნიშნად მეფის ბერი ვაჟი რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო, რათა მოსკოვში ეპისკოპოსად კურთხეულიყო.[11]

ყურადღებას იპყრობს ბატონიშვილების რუსეთში მიწვევის თარიღები. მირიან ბატონიშვილს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება ხელმოწერილი ტრაქტატის პეტერბურგში მიღებიდან მეორე დღესვე მიენიჭა,[12] ხოლო ანტონ ბატონიშვილის რუსეთში გაწვევა იმ დღეს გადაწყდა, როდესაც ეკატერინე II-მ ერეკლეს ახლად წამოყენებული მოთხოვნები დააკმაყოფილა. იმ პერიოდში ერეკლე II გადაჭრით მოითხოვდა ქართველი მონარქების მეფედ კურთხევის უფლების ხელშეკრულებაში ასახვას, მცხეთის კათოლიკოსის, როგორც ავტოკეფალური ეკლესიის მწყემსმთავრის, უფლებების დაცვას, მისთვის „უგანათლებულესობის“ ნაცვლად „უმაღლესობის“ ეპითეტის მინიჭებას და ტიტულის იმ სახით დაფიქსირებას, რაც ქართულ სამეფო კარზე იყო შემუშავებული.[13] ქართველი მეფის დიპლომატიური აქტიურობის შემდეგ, 1783 წლის 30 სექტემბერს, ეკატერინე II-მ, ერთი მხრივ, წამოყენებული პირობების უმეტესობა დააკმაყოფილა, მეორე მხრივ კი, როგორც აღინიშნა, ერეკლეს მეორე ვა-

[10] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II, გვ. 19-20.

[11] Полное собрание законов Российской империи. XXI. СПб. 1830, გვ. 1025-1026.

[12] როგორც ეკატერინე II 1783 წლის 18 აგვისტოს გრიგოლ პოტიომკინს წერდა, პოლკოვნიკმა ტამარამ ხელმოწერილი ტრაქტატი სწორედ 17 აგვისტოს მიიტანა პეტერბურგის კარზე. იხ.: Русская Старина. XVI, вып. 5-8. СПб. 1876, გვ. 48; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II, გვ. 11.

[13] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX. თბ. 2023, გვ. 130-186.

ჟი – ანტონ ბატონიშვილი რუსეთში გაიწვია.[14]

ამრიგად, მირიანისა და ანტონის გამგზავრება ქართული საელჩოს მუშაობასთან არანაირად არ იყო დაკავშირებული. ამავე დროს, საპატიო მიზეზით მიწვევის მიუხედავად, რჩება შთაბეჭდილება, რომ ტრაქტატის გაფორმების შემდეგ რუსული მხარე ბატონიშვილებს ერეკლე II-ის მორჩილების უზრუნველყოფის ბერკეტად განიხილავდა.

ბატონიშვილების რუსეთში გაწვევის პროცესისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით ისტორიულ დოკუმენტებში. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კავკასიის ხაზის მთავარსარდალ პავლე პოტიომკინის ერეკლე II-ისათვის გაგზავნილი წერილები.[15] როგორც ერთ-ერთი მათგანით ირკვევა, მირიან ბატონიშვილის რუსეთში გაწვევის შესახებ იმპერატორის გადაწყვეტილება პავლე პოტიომკინმა ერეკლე II-ს 1783 წლის 12 ოქტომბრის წერილით აცნობა. იმავე წერილით პავლე პოტიომკინმა ბატონიშვილის რუსეთში დროულად გამგზავრებაც მოითხოვა – „წელსა ჩღპგ (1783), ოქდომბერს იბ (12) ... უნებავს მათს იმპერატორების დიდებულებასა და უწყალობებია თქვენის საყვარ{ე}ლის შვილის მეფის ძის მირიანისათვის რუსეთის ჯარის სამჴედროს <ჯარის> პოლკოვნიკობა. ამას ვეჩქარები რათა მოვახსენო თქვენს უგანათლებულესობასა და უფროს სიხარულით მომილოცავს თქვენის უგანათლებულესობისათვის, რომ ნიშანი არის მონარხის წყალობისა და მეცა როგორც სამსახური და ერთგულება მსურის ამითა ჰსცნობთ, რომ კნიაზ გრიგორი ალექსანდროვიჩს პოტემკინს ჰსურის მეფის ძის მირიანის პეტრებურხს მოსვლა და ამისათვის ვითხოვ თქვენის უგანათლებულესობისაგან, რომ მაცოდინოთ როგორ შეიძლებთ მაგის გამოსტუმრებასა, ამისთვის რომ მოვასწრა გზაზედ კაცების დაყენება ჩემსა და სხვას ალაგებსაცა, რათა მშვიდობიანათ და უშიშრად მოაცილონ ლინიამდისინ“.[16]

თუ როგორ შეხვდა ერეკლე II მისი ვაჟის რუსეთის გაწვევის ინიციატივას, ამის გასარკვევად მრავლისმეტყველია პავლე პოტიომკინის კიდევ ერთი წერილი, რომელიც 1783 წლის 10 ნოემბრით თარიღდება. კავკა-

[14] Полное собрание законов Российской империи. XXI. СПб. 1830, გვ. 1025-1026; ა. თაბუაშვილი. ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით, გვ. 168-171.
[15] ხეც, H-2300, გვ. 1-51.
[16] ხეც, H-2300, გვ. 38-39.

სიის ხაზის მთავარსარდალი საყვედურნარევი ტონით აცხადებდა, რომ მირიანის გამგზავრების შესახებ მეფის საპასუხო წერილი არ მიუღია. ამავე დროს, ერეკლეს კვლავ მოუწოდებდა, რომ გამგზავრების თარიღი მისთვის ეცნობებინა – „უმაღლესის მათის იმპერატორების დიდებულების მოწყალების მოღება, თქვენს შვილს მეფის ძეს მირიანს ზედა სრულიად რუსეთის ჯარის პოლკოვნიკობის ბოძება, თქვენის უგანათლებულესობისაგან ჯერ მაგიერი პასუხი არ მომსვლია რა. და რადგან ნება არის უმაღლესისა, რომ თქვენი შვილი მეფის ძე მირიან პეტერბურხს მივიდეს, ამისათვის საჭირო არის ჩემთვის, რომ ვიცოდე როცა გამოისტუმრებს თქვენი უგანათლებულესობა მაგასა, რომლისათვისცა რომ ვევედრები თქვენს უგანათლებულესობასა მაცოდინოთ დროსა“.[17]

როგორც ვხედავთ, ერეკლე II-ს რუსული მხარის მოთხოვნა ერთი თვის განმავლობაში საერთოდ უპასუხოდ დაუტოვებია. მეფეს კავკასიის ხაზზე არც საპასუხო წერილი გაუგზავნია და პავლე პოტიომკინისათვის არც ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების დრო უცნობებია.

მოხმობილი კორესპონდენციიდან ისიც ირკვევა, რომ რუსეთის მთავრობის წევრები პეტერბურგის საიმპერატორო კარზე შემუშავებული მიდგომით ხელმძღვანელობდნენ და ბატონიშვილის რუსეთში გაწვევას ქართველი მეფის მიმართ იმპერატორის წყალობად სახავდნენ. 1783 წლის 10 ნოემბრის წერილიდან კარგად ჩანს, რომ კავკასიის ხაზის მთავარსარდალი, ერთი მხრივ, ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრებას ითხოვდა, მეორე მხრივ, იმპერატორის „წყალობასთან“ დაკავშირებით ერეკლეს დადებით გამოხმაურებასაც ელოდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობების იმ ეტაპზე იმპერიის მოხელეები მსგავს მოთხოვნას მუდმივად აყენებდნენ და ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ქართველ მეფეს კმაყოფილების გამოხატვისკენ დაჟინებით მოუწოდებდნენ. იმპერიის მესვეურები ამ ხერხით ცდილობდნენ, რომ რუსეთის ყველა აქტივობა ქართული მხარისათვის სასურველ მოვლენად წარმოეჩინათ.[18]

ერეკლე II მხოლოდ რუსი გენერლის განმეორებითი წერილის მიღების შემდეგ გამოეხმაურა მისი ვაჟისთვის სამხედრო წოდების მინიჭების საკითხს. მეფე 1783 წლის 21 ნოემბერს გრიგოლ პოტიომკინის სახელზე შედგენილი წერილით მადლობასაც იხდიდა და მირიანის პეტერბურგში

[17] ხეც, H-2300, გვ. 40-41.
[18] საკითხის შესახებ იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით, გვ. 148-151.

დროულად გასტუმრების პირობასაც დებდა, თუმცა კონკრეტულ თარიღს არ უთითებდა – „პირველს უბედნიერესს ნიშნად მივიღე იმისის იმპერატორების დიდებულებისა ყოვლად მოწყალისა ჴელმწიფისა ჩემისა მონარხობითი უსაკუთრესი მოწყალება სახლისადმი ჩემისა, რომ იმისის იმპერატორების დიდებულებას კეთილნებობით უბოძებია შვილისათვის ჩემისა მირიანისა თავისის არმიის პოლკო{ვ}ნიკობა კამანდასა ქუჴშე თქვენის უგანათლებულესობისასა. და ესრეთისა იმპერატორულისა მოწყალებისა მადლობით მომღებელსა მსურს, რომ შეძლებისაებრ ადრე წარმოვავლინოთ ეს უფალი პოლკო{ვ}ნიკი იმისის იმპერატორების დიდებულებისა მონარხობითსა მფარველობასა და თქვენის უგანათლებულესობის მზრუნველობასა შინა განსამრავლებელად თვისისა ბედნიერობის და ჩვენისა ნუგეშისათვის“.[19]

აღნიშნული მოვლენებიდან მალევე, უკვე 1783 წლის 19 დეკემბერს,[20] პავლე პოტიომკინმა ერეკლე II-ს ანტონ ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების გადაწყვეტილებაც ამცნო. იმავე დროს, კავკასიის ხაზის მთავარსარდალი მეფეს კვლავ მოუწოდებდა მირიანის (ამჯერად უკვე ანტონთან ერთად) დროული გასტუმრებისკენ. რუსი გენერალი მეფეს სწერდა: „მისის უგანათლებულესობის კნიაზ გრიგორი ალესანროვიჩისაგან[21] რომ მოვიდა ჩემთან უფალი პოლკოვნიკი თამარა[22] მრავლის ნიშნებითა, ... ამას გარდა მიბ{რ}ძანებს მე, რომ უნებებია მისს იმპერატორების დიდებულებას, რათა თქვენის უგანათლებულესობის ძე, რომელიც რომ ბერათ არის შემდგარი, გამოისტუმროს სატახტოს ქალაქს, მოსკოვს უნდა ეკურთხოს ეპისკოპოსად. ამაზედ მისის იმპერატორების დიდებულების ნებასა და წყალობასა ჰსცნობთ განათლებულის კნიაზ გროგორი ალესანდროვიჩის მოწერილის წიგნისაგან, რომელსაც რომ მოვართმევ პოლკოვნიკის თამარის ჴელითა. ამით მეორეთ მოვახსენებ თქვენს უგანათლებულესობას, კეთილად ინებოთ და უწინვე მოამზადოთ იმისი გამოსტუმრება და მეც მაცოდინოთ, როდესაც მოგიხდებათ იმისი გამო{მ}გზავრება, არამედ ჩემზედ არის მოგდებული ორისავე მეფის ძეების გასტუმრება ლინიადამ მოსკოვამდისინა. ამისთვის საჭიროდ ვხედავ, რათა შევიტყო იმათი მოსვლა და მეც იმათთვის რაც საჭირო არის მოვამზადო“.[23]

[19] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2806.
[20] დოკუმეტში მითითებუალია 19 სექტემბერი, რაც უნებლიე შეცდომაა.
[21] იგულისხმება გრიგოლ პოტიომკინი.
[22] იგულისხმება პოლკოვნიკი ტამარა.
[23] ხეც, H-2300, გვ. 43-44.

1784 წლის 15 იანვრის საპასუხო წერილში ერეკლე II შვილების რუსეთში გასტუმრების პირობას კვლავ დებდა, თუმცა კონკრეტულ დროს ამ შემთხვევაშიც არ ასახელებდა – „რადგან მირიანის წამოსვლა დეკემბერში ვერ მოხდა დიდის თოვლის მიზეზით, ამისთვის ორთავ ერთად გამოვგზავნით, როდესაც გზის სიმარჯვეს დავახელებთ“.[24]

ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრების საკითხი კიდევ ერთხელ დაისვა ტრაქტატის თბილისში რატიფიკაციის შემდგომ. პოლკოვნიკ ტამარას 1784 წლის 30 იანვრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მეფის ვაჟები და გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც 1784 წლის 29 იანვარს საიმპერატორო კარზე მინისტრ-რეზიდენტად დაინიშნა, რუსეთში მაშინვე გაემგზავრებოდნენ, როგორც კი მთებზე გადასასვლელი გზები უსაფრთხო გახდებოდა.[25]

როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობისთვის ქართველი მინისტრ-რეზიდენტის ბატონიშვილების გარეშე გამგზავრება დაუშვებელი იყო და ამ გზით პროცესის დაჩქარებას იმედოვნებდა.

აღნიშნული მოვლენებიდან მალევე, რუსი მოხელეებისთვის სრულიად მოულოდნელად, ერეკლე II-მ გამოთქვა სურვილი, რომ იმპერატორისათვის მადლობის გადახდის მიზნით თავად გამგზავრებულიყო პეტერბურგში.[26] ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთში გამგზავრების წინადადება 1784 წლის თებერვლის მეორე ნახევარში უნდა წამოეყენებინა, რადგან კავკასიის ხაზის მთავარსარდალი 10 მარტის წერილში აღნიშნავდა, რომ ამის შესახებ გრიგოლ პოტიომკინს აცნობა.[27]

თავის მხრივ, გრიგოლ პოტიომკინი, ქართველი მეფის განზრახვის შესახებ, ეკატერინე II-ს უკვე 1784 წლის 6 აპრილის მოხსენებით ატყობინებდა. გენერალ-ანშეფის მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა თუ მეფეს აცნობებდნენ, რომ იმპერატორს მოგვიანებით შეხვედროდა, მაშინ როდესაც ის ყირმში ჩავიდოდა.[28]

ვიდრე საიმპერატორო კარიდან ოფიციალურ პასუხს მიიღებდნენ,

---

[24] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2934.
[25] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 284.
[26] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II, გვ. 20.
[27] Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал с приложением карт, портретов и факсимиле С. Н. Бурнашев. Под ред. проф. А. А. Цагарели. СПб. 1901, გვ. 18-19.
[28] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. т. II, вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели. СПб. 1902, გვ. 42-43; Из истории российско-грузинских отношений, გვ. 300-301.

ერეკლე II, ერთი მხრივ, იმპერატორის მოთხოვნაზე უარს არ აცხადებდა, მეორე მხრივ, შვილების გაგზავნის პროცესს კვლავ აჭიანურებდა.

ბატონიშვილებისა და მინისტრ-რეზიდენტ გარსევან ჭავჭავაძის გამგზავრების საკითხს ეხებოდა პოლკოვნიკ ტამარას მიერ 1784 წლის მარტში შედგენილი მოხსენებაც. მისი განმარტებით, ისინი თბილისიდან აპრილის ბოლოს უნდა გამგზავრებულიყვნენ. გამგზავრების გადადების მიზეზად მათი ეკიპაჟის მოუმზადებლობასა და მთის გზებზე არსებულ ვითარებას ასახელებდა.[29] კავკასიის ხაზის გენერალი პავლე პოტიომკინი 1784 წლის 8 აპრილის საიდუმლო მოხსენებით გრიგოლ პოტიომკინს ატყობინებდა, რომ კავკასიის ხაზზე ჩასვლისთანავე ბატონიშვილებს დაუყოვნებლივ მოსკოვისაკენ გაგზავნიდა.[30]

მაისის დასაწყისში პავლე პოტიომკინი კვლავ ითხოვდა ანტონისა და მირიანის რუსეთში გამგზავრებას. ის საქართველოში რუსეთის იმპერიის ოფიციალურ წარმომადგენელ სტეფან ბურნაშევს წერდა, რომ ერეკლეს პირობა უნდა შეესრულებინა და ბატონიშვილები რუსეთში გაეგზავნა.[31] ქართლ-კახეთის მეფე 1784 წლის 13 მაისის საპასუხო წერილით რუს გენერალს ატყობინებდა, რომ გახარებული იქნებოდა თუ მისი შვილები უკვე პეტერბურგში იქნებოდნენ, მაგრამ გზებზე არსებული შეფერხებები ამის საშუალებას არ აძლევდა.[32]

მოხმობილი ფაქტებით ნათლად იკვეთება, რომ ოფიციალური თანხმობის მიუხედავად, ერეკლე II-ს არ სურდა შვილების რუსეთში გაგზავნა. სხვა შემთხვევაში აუხსნელია გზებზე არსებული ვითარების მომიზეზებით მათი გამგზავრების თვეების განმავლობაში დაყოვნება. 1783 წლის ოქტობრიდან 1784 წლის მაისამდე კავკასიის გზებზე შეუფერხებლად არა მხოლოდ კურიერები მოძრაობდნენ, არამედ რუსულ ბატალიონებსაც არ გასჭირვებიათ საქართველოში ჩამოსვლა. თბილისში იმავე გზით დაბრუნდა მეფის მიერ პეტერბურგში საგანგებოდ მივლენილი სულხან თუმანიშვილი, ასევე – მიიღეს ტრაქტატის სარატიფიკაციო ვერსია და საიმპერატორო კარიდან გამოგზავნილი ინვესტიტურა.[33]

[29] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 300.
[30] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 303.
[31] Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г., გვ. 22-23.
[32] Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы. I выпуск. Материал подобрал и подгот. к печати В. Гамрекели. Тбилиси, 1980, გვ. 168.
[33] ა. თაბუაშვილი. ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით, გვ. 171-172.

როგორც ჩანს, ერეკლე II იმედოვნებდა, რომ თუ თვითონ გაემგზავრებოდა პეტერბურგში, შვილების რუსეთში გაგზავნას თავს აარიდებდა. პასუხის მოლოდინში კი პროცესს აფერხებდა.

საყურადღებოა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარზე ერეკლეს წინადადება სწორედ ბატონიშვილების გამგზავრების ალტერნატივად აღიქვეს. როგორც ნ. დუბროვინი გადმოგვცემს, ეკატერინე II-მ უარყო მეფის განზრახვა და მას ურჩია, რომ იმპერიის დედაქალაქში შვილები გაეგზავნა.[34]

საბოლოოდ, ერეკლე II-მ, მას შემდეგ რაც დიპლომატიური მანევრირების ყველა საშუალება ამოწურა, შვილების პეტერბურგში გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო. 1784 წლის 23 მაისს ეკატერინესათვის მიწერილ მოკლე წერილში მეფე მართალია აღნიშნავდა, რომ შვილებს იმპერატორის მოთხოვნის საფუძველზე გზავნიდა, თუმცა ყოველივე ამას დიდ წყალობად აცხადებდა.[35] წერილის პათოსის მიუხედავად, რაც ზოგადად იმპერიისა და პატარა ქვეყნის ურთიერთობაში დამკვიდრებულ ნორმას წარმოადგენდა, რეალურად ერეკლემ ბატონიშვილები რუსეთში რამდენიმეთვიანი წინააღმდეგობის შემდეგ გაგზავნა.

ქართული დელეგაცია, პოლკოვნიკ ტამარასთან ერთად, 8 ივნისს მოზდოკში ჩავიდა. პავლე პოტიომკინმა გარსევან ჭავჭავაძე და ბატონიშვილები 13 ივნისს მოზდოკიდან ეკატერინე II-ის ფავორიტ გრიგოლ პოტიომკინთან შესახვედრად კრემენჩუგში გაგზავნა, ხოლო მათი ამალა – მოსკოვში. ქართველი ელჩი და ბატონიშვილები პეტერბურგში სექტემბრის მეორე ნახევარში მივიდნენ.[36]

გარსევან ჭავჭავაძე და ბატონიშვილები საიმპერატორო კარზე დიდი პატივით მიიღეს, რის გამოც, როგორც ნაშრომის დასაწყისშიც აღინიშნა, ერეკლე II 1785 წლის 4 თებერვლის წერილით გრიგოლ პოტიომკინს მადლობას უხდიდა.

1784 წელსვე ანტონ ბატონიშვილი იმპერატორისა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი მოხელეების თანდასწრებით ცარსკოე სელოს სასახლის კარის ეკლესიაში ხელდასმულ იქნა ნინოწმინდის ეპისკოპოსად.[37] მირიან ბატონიშვილი კი რუსეთის არმიაში პოკლოვნიკის ჩინით მსახურობდა.

---

[34] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. II, გვ. 20.
[35] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 320.
[36] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. თბ. 1982, გვ. 71-73.
[37] ე. ბუბულაშვილი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, გვ. 10.

პეტერბურგში ჩასვლიდან ერთი წლისა და ოთხი თვის შემდეგ, 1786 წლის 10 იანვარს, გარსევან ჭავჭავაძემ გრიგოლ პოტიომკინს თხოვნით მიმართა, რათა მისთვის სამშობლოში გამგზავრების ნებართვა მიეცათ.[38] იმ პერიოდში ქართველი ელჩის მოთხოვნა რუსეთის მთავრობამ არ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც 1786 წლის 22 სექტემბერის მიმართვით ერეკლე II-მ მისი დაუყოვნებლივ საქართველოში გამოგზავნა მოითხოვა.[39]

ჩვენთვის უცნობია, ქართველი ელჩის მსგავსად, პეტერბურგში მყოფმა ბატონიშვილებმა 1786 წლის დასაწყისში მოითხოვეს თუ არა სამშობლოში გამგზავრება. თუმცა, ანტონის საქართველოში დაბრუნების საკითხი ერეკლე II-მ გარსევან ჭავჭავაძისათვის 1786 წლის ივლისში გაგზავნილ წერილში წამოაყენა.[40] რაღა თქმა უნდა, მეფის წერილის მიღების შემდეგ გარსევანი ანტონის თაობაზე საიმპერატორო კარს მიმართავდა.

თუ რა შედეგი გამოიღო ანტონ ბატონიშვილის სამშობლოში დაბუნების საკითხის გააქტიურებამ, ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით მეფისა და კავკასიის ხაზის მთავარსარდლის მიმოწერაში. 1787 წლის 15 თებერვალს ერეკლე II პავლე პოტიომკინს სწერდა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში აღარც თავად იღებდა პეტერბურგში მყოფი ბატონიშვილებისაგან წერილებს და არც მისი გაგზავნილი წერილები ჩადიოდა ადრესატებამდე, რაზეც შესაბამის განმარტებას ითხოვდა.[41]

როგორც ჩანს, პავლე პოტიომკინი კომუნიკაციის შეფერხებას თბილისიდან პეტერბურგამდე მგზავრობის ხანგრძლივობით ხსნიდა. 1787 წლის 12 აპრილის წერილში ერეკლე II საყვედურნარევი ტონით აღნიშნავდა: „თქვენის მაღალ მსვლელობის წიგნი მივიღეთ, რომელშიაც ჩემის შვილების მშვიდობა მოგიწერიათ, რომლისათვისაც დიდად მმადლობელი ვარ თქვენის მაღალ მსვლელობისა. მაგრამ თუმცა პეტრებურხი შორს არის საქართველოზედ, მაგრამ უფრო უშორესს ადგილსაც შეიძლება რომ გაიგზავნოს და ხშირადაც მისდიოდესთ და მოსდიოდესთ ერთმანერთში წიგნი, მაგრამ წელიწადი სრულდება, რომ ჩემის შვილების მოწერილი წიგნი მე არ მომსვლია და ჩემგან მიწერილი წიგნი იმათ არ მისვლიათ“.[42]

საპასუხო წერილში პოტიომკინი კომუნიკაციის შეფერხების მიზე-

[38] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბ. 1960, გვ. 252-253.
[39] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 257.
[40] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 489-490.
[41] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 518-519.
[42] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2271.

ზად ამჯერად კურიერების მოძრაობის დაბრკოლებას ასახელებდა, რასაც იმპერატორის სამხრეთში მოგზაურობას უკავშირებდა.[43]

როგორც ვხედავთ, ბატონიშვილების დაბრუნების საკითხის გააქტიურების პარალელურად, 1786 წლის გაზაფხულიდან, რუსეთის მთავრობას მეფისა და მისი ვაჟების კომუნიკაცია შეუჩერებია.

აღნიშნული მოვლენებიდან მოკლე ხანში ერეკლე II და დარეჯან დედოფალი უკვე გადაჭრით ითხოვდნენ ბატონიშვილების დაბრუნებას. ქართლ-კახეთის სამეფო კარიდან ეკატერინე II-ისა და გრიგოლ პოტიომკინისათვის გაგზავნილი კორესპონდენცია 1788 წლის 27 იანვარით თარიღდება. ქართლ-კახეთის მეფე იმპერატორს მიმართავდა: „უმოწყალეობითი მფარველობა უდიდებულესობისა თქუჷნისა ძეთა ზედა ჩემთა, რომელნი ესოდენ წარსულთა ამათ წელიწადთა შინა წინაშე უთჳთმპყრობელესობისა თქუჷნისა ბედნიერობად თჳსად სარგებლობენ კეთილშემთხუჷულებად მათდა ვიცი. გარნა სიყუარული მშობელთა ცხად არს წინაშე უდიდებულესობისა თქუჷნისა. ვინათგან ამიერ სოფლით წარსრულთა ძეთა და ასულთა ზედა ჩემთა განმწარებულთა მშობელთა გუსურს დაუთმობლად ხილვა მაგათი, რომლისათვისცა უმდაბლესად ვითხოვ ყოვლად უმოწყალესობისა თქუჷნისაგან, რათა დაუგვიანებელად მივემთხჳო ხილვასა ორთავე მაგათ ძეთა ჩემთა. და ოდეს ინებებთ კუალად წარმოვგზავნი მირიანს უავღუსტესისა მაგის კარისადმი და ან სხუას რომელსაც ჩემს შვილს ინებებთ, რომელიცა ესე ჩემთჳს სახლისა ჩემისა და შვილთა ჩემთათჳს დიდს ბედნიერობად მისაღებელი არის. და უკეთუ არა სთნდეს უმაღლესსა ნებასა თქუჷნისა ჟამსა ამას წარმოგზავნა მირიანისა, უმდაბლესად ვითხოვ, რათა მისცეთ უმოწყალესობითი უკმოქცევა ყოვლად უსამღვდელოესსა ძესა ჩემსა ანტონის, რომელსაცა სწავლასა შინა იმყოფება თჳსისა სასწავლისა დირეკტორითა, რომელსა ესოდენ ჟამ მოელიან სამწყსონი თვისნი. და ესეცა იყავნ უმაღლესისა ნებისაებრ, რომლითა დავადგენ თავსა ჩემსა უკანასკნელად მონებამდე საიმპერატოროსა კარისა და ვარ ნიადაგ“.[44]

დარეჯან დედოფალი ეკატერინე II-ს სწერდა: „აღმატებული სიყვარული მშობელთა დედისა შვილთა მიმართ, რომელსა განაცხადებს საზოგადოობა ბუნებისა წინაშე ყ[ოვლა]დ უმოწყალესობისა თქუჷნისა, მაიძულებს მე უმდაბლესად თხოვად უდიდებულესობისა თქუჷნისაგან, რათა

[43] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 526.
[44] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2886.

მისცეთ ორთავე ძეთა ჩემთა, ანტონის და მირიანს, უმოწყალესობითი ჩვენდა მიმართ წარმოგზავნა. და ოდეს ინებებთ კუალად წარმოვგზავნით მირიანს უმაღლესისა კარისადმი და ან რომელსაც სხვას ჩვენს შვილს ინებეთ, რომელიცა ესე ჩემთვის და შვილთა ჩემთათვის დიდს ბედნიერობად მისაღებელი არის. და უკეთუ არა სთნდეს უმაღლესსა ნებასა თქუჷნისა, ჟამსა ამას წარმოგზავნა მირიანისა, კუალად ვითხოვ უდიდებულესობისა თქუჷნისაგან უმდაბლესად, რათა მისცეთ უმოწყალესობითი თავისუფლება უკმოქცევად ყ[ოვლა]დ უსამღვდელოესსა ძესა ჩემსა ანტონის, რომლისა მიმღებელ ვიქმნები უავღუსტესებრად მოწყალებად და ესეცა იყავნ ნებისაებრ უმაღლესისა“.[45]

ანალოგიური თხოვნით დედოფალი გრიგოლ პოტიომკინსაც მიმართავდა: „მაქუს პატივცემულება უგანათლებულესობისა თქუჷნისაგან ნიადაგ კეთილმწადნელობით მიღებად აზრთა ჩემთა, რომლითა განვაცხადებ დედობრივსა სურვილსა დაუთმობელად ხილვად ორთავე ძეთა ჩემთა, ვინაითგან ესეოდენ ჟამ არა გვიხილავს პირი უგანათლებულესობისა მათისა. და ამისთუის გულს მოდგინედ ვითხოვ ჩვენდა მომართ კეთილმოქმედებისა თქუჷნისგან, რათა დაუგვიანებლად მისცეთ თავისუფლება უკმოქცევად ორთავე ძეთა ჩემთა ყ[ოვლა]დ უსამღვდელოესსა ანტონის და პოლკო{ვ}ნიკს მირიანს; და ოდეს ინებებთ კუალად წარმოვგზავნით მირიანს უმაღლესისა კარისადმი და ან სხვას, რომელსაც ჩემს შვილს ინებებთ, რომელიცა ესე ჩემთვის და შვილთა ჩემთათვის უდიდესს ბედნიერობად მისაღებელი არის. და უკეთუ არა სთნდეს უგანათლებულესობასა თქუჷნსა ჟამსა ამას წარმოგზავნა მირიანისა, ვითხოვ კუალადცა გულს მოდგინედ, რათამცა ყ[ოვლა]დ უსამღვდელოესსა ანტონის, ძესა ჩემსა, მისცეთ თვის უფლება დაუგვიანებლად უკმოქცევად ეპარხიასა ზედა თვისსა, თვისისა სასწავლოსა რეკტორითა, რომელსა ესოდენ ჟამ მოელიან სამწყსონი თვისნი. გარნა ამისის ყ[ოვლა]დ უსამღვდელოესობის წარმოგზავნასა ანტონისსაცა მივანდობ ნებასა უგანათლებულესობისა თქყჷნისასა“.[46]

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფე და დედოფალი, რუსეთის საიმპერატორო კართან იმდროისათვის დამკვიდრებული კომუნიკაციის ფრომების გათვალისწინებით, მაქსიმალურ ძალისხმევას დებდნენ შვილების სამშობლოში დასაბრუნებლად. წერილების პათოსი თავისთავად

[45] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2865.
[46] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2817.

მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართულ მხარეს ანტონისა და მირიანის რუსეთიდან გამოწვევის პროცესი 1788 წლის იანვარზე გაცილებით ადრე უნდა წამოეწყო.

როგორც მოხმობილი დოკუმენტებიდან ირკვევა, ქართული სამეფო კარი იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ ორი ბატონიშვილის ერთდროული დაბრუნების ნაკლები შესაძლებლობა იყო. ამიტომ, უკიდურეს შემთხვევაში ანტონის განთავისუფლებას ითხოვდნენ. ერეკლესა და დარეჯანის მხრიდან ანტონ ბატონიშვილისათვის უპირატესობის მინიჭება კონკრეტულ გარემოებას უნდა უკავშირდებოდეს. საქმე ის იყო, რომ მირიანისაგან განსხვავებით, რომელიც რუსულ ჯარში პოლკოვნიკის წოდებით მსახურობდა, ანტონი ქართული ეპარქიის მღვდელმთავარი იყო. ერეკლე II-ის გადაწყვეტილებით იმდროისათვის ის უკვე ალავერდელი მიტროპოლიტის ხარისხში იყო აყვანილი.[47] შესაბამისად, ანტონ ბატონიშვილის საქართველოში დაბრუნების დამატებით არგუმენტად სამეფო კარი სწორედ მისი ეპარქიის სამწყსოს მოლოდინს ასახელებდა. იმავე მოტივით ითხოვდნენ მისი მასწავლებლის, თელავის სემინარიის რექტორის – გაიოზის გამოგზავნასაც.

სწორედ იმ დროს, როდესაც მეფე და დედოფალი ბატონიშვილების რუსეთიდან გამოწვევას აქტიურად მოითხოვდნენ, კერძოდ 1788 წლის 29 თებერვალს, კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I გარდაიცვალა.[48] რამდენიმე თვის განმავლობაში კი ახალი კათალიკოსი არ აურჩევიათ. როგორც ჩანს, ანტონ ბატონიშვილის კათალიკოსად არჩევა ანტონ I-ის გარდაცვალებისთანავე გადაწყდა. აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, ქართლ-კახეთის სამეფო კარი ანტონის სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობას კიდევ უფრო მყარად დაასაბუთებდა.

საბოლოოდ, ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის მოთხოვნებმა ნაწილობრივი შედეგი გამოიღო და ანტონ ბატონიშვილს საქართველოში დაბრუნების უფლება მიეცა. რადგან ანტონი 29 ოქტომბერს კათალიკოსად აკურთხეს,[49] ის სამშობლოში 1788 წლის შემოდგომით უნდა დაბრუნებულიყო.

ანტონის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე მეორე შვილის დაბრუნებას კვლავ მოითხოვდა. 1788 წლის 7 ნოემბერს

[47] მ. ჯანაშვილი. კათალიკოზი ანტონ II. გაზ. მწყემსი. № 2. 15 იანვარი, 1885, გვ. 6.
[48] მ. ჯანაშვილი. კათალიკოზი ანტონ II. გაზ. მწყემსი. № 2, გვ. 6.
[49] მ. ჯანაშვილი. კათალიკოზი ანტონ II. გაზ. მწყემსი. № 2, გვ. 6.

ერეკლე II, ჩვენთვის უცნობ, რუსეთის მთავრობის ერთ-ერთ მაღალ თანამდებობის პირს სწერდა: „მაღალშობილო უფალო ბლაღადირო, სარწმუნო მეგობარო ჩემო. ... ვინათგან {ვიმყოფებით} ესოდენთა წელთა შორს ყოფისათვის ძისა ჩემისა მირიანისა მწუხარეთა, გვაქვს დაუთმობელი სურვილი ხილვისა მისისა. ამისთვის მოვართვით წიგნი განათლებულს კნიაზს, რომ რამდენსამე ხანს მისცეს ბრძანება ჩვენს შვილს უფალს პოლკოვნიკს მირიანს თავის სახლში მოსვლისა. და როდესაც იმისი განათლებულება ინებებს, ისევ დაუგვიანებლად გავისტუმრებთ თავის განწესებულსავე ადგილსა. ამას გულს მოდგინედ ვითხოვთ მაღალშობილებისა თქვენისაგან, რომ აზრის ამის ჩემისა სრულყოფად მზრუნველ იქმნეთ, რომლითა ვალდებულ გყოფთ ნიადაგ“.[50]

აღნიშნული ისტორიული საბუთით ირკვევა, რომ ერეკლე II-ს ანტონის დაბრუნების შემდეგ საგანგებოდ მირიან ბატონიშვილის განთავისუფლების თხოვნით „განათლებული კნიაზისათვისაც“, ანუ გრიგოლ პოტიომკინისთვისაც მიუმართავს.

1788 წლის 13 დეკემბერს მირიან ბატონიშვილმა თავადაც მიმართა გრიგოლ პოტიომკინს და დროებით სამშობლოში დაბრუნების ნებართვა ითხოვა.[51]

როგორც ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის 1788 წლის 27 იანვრის ზემოთ მოხმობილ კორესპონდენციაში იყო აღნიშნული, ბატონიშვილების განთავისუფლების შემთხვევაში ისინი მირიანის უკან დაბრუნების პირობას დებდნენ. ამავე დროს აღნიშნავდნენ, რომ თუ იმპერატორი მოისურვებდა, სამომავლოდ მას სამეფო ოჯახის სხვა წევრსაც გაუგზავნიდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამეფოს კარი რუსეთის მთავრობას ბატონიშვილების ჩანაცვლებას სთავაზობდა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ერეკლე II-ის შვილიშვილის, დავით გიორგის ძის, პერსონა. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც სამეფო კარმა უფლისწულების საქართველოში გამოწვევის საკითხი აღძრა, 1787 წლის იანვარში დავითი ბატონიშვილი გრიგოლ პოტიომკინთან გაგზავნილი წერილით იმპერიის სამსახურში ჩარიცხვას ითხოვდა.[52] როგორც ჩანს, აღნიშნული ნაბიჯით ერეკლეს სურდა საიმპერატორო კარზე მირიანი დავით ბატონიშვილით ჩაენაცვლებინა.

[50] სეასცა. ფონდი 1449, საბ. № 2882.

[51] ი. ცინცაძე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1782-1791 წწ.). საისტორიო მოამბე. № 23-24. თბ. 1970, გვ. 143-144.

[52] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 261-262.

მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, რუსეთის საიმპერატორო კარმა მირიანს სამშობლოში დაბრუნების უფლება თითქმის 14 წლის განმავლობაში არ მისცა. ამ პერიოდში ის გენერლის წოდებაში დაწინაურდა, მოგვიანებით კი ყაბარდოს პოლკის მეთაურად დაინიშნა, ასევე სენატორად იწოდებოდა.

როგორც ირკვევა, ბატონიშვილების სამშობლოში დაბრუნების საკითხის აღძვრა ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკურ აქტივობებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ერეკლე II-მ შვილების რუსეთიდან გამოწვევის პროცესი სწორედ მაშინ წამოიწყო, როდესაც იმპერიის უმოქმედობით განაწყენებულმა ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკებები გამართა, რაც 1786 წლის სექტემბერში გაფორმებული სამშოდობო შეთანხმებით დასრულდა.[53] ხოლო, საქართველოდან რუსული ბატალიონების გასვლის შემდეგ მეფემ ამ მხრივ უფრო აქტიურ ქმედებებს მიმართა.

თავის მხრივ, რუსეთში მყოფი ბატონიშვილების საკითხს ოსმალეთიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის არმიის მეთაურის, გენერალ პეტრე ტეკელის, 1789 წლის 29 მარტის პატაკის თანახმად, 1788 წლის შემოდგომაზე ოსმალეთის მთავრობის წარმოამდგენლებს ერეკლესაგან მოუთხოვიათ, რომ მას რუსეთიდან მირიან ბატონიშვილი დაებრუნებინა, ხოლო შვილიშვილი, დავით ბატონიშვილი, ოსმალეთში გაეგზავნა. ერეკლეს განუცხადებია, რომ რადგან ბატონიშვილი რუსეთში საიმპერატორო კარის მოთხოვნით გაიწვიეს, მისი დაბრუნება არ შეეძლო. უფლისწულ დავითის ოსმალეთში გაგზავნაზე კი უარი განუცხადებია. გენერალ ტეკელის ცნობების თანახმად, იმ ეტაპზე ერეკლეს ოსმალეთთან შეთანხმება მაინც გაუფრომებია. შვილიშვილის, უფლისწული დავითის ნაცვლად კი მძევალად ორი თავადი – ორბელიანი და ციციშვილი – გაუგზავნია.[54]

როგორც ჩანს, ერეკლე II კარგად ხვდებოდა, რომ ოსმალეთთან ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში მირიან ბატონიშვილის ფაქტორი მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა. რადგან ბატონიშვილის რუსეთიდან გამოწვევა ვერ ხერხდებოდა, მეფეს ოსმალე-

[53] ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის დადებული შეთანხმების შესახებ იხილეთ: მ. დუმბაძე. საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 708-710.

[54] Российский государственный военно-исторический архив (РГВИА), ф. 52, оп. 1/194, д. 516, л. 79-83; ა. თაბუაშვილი, ნ. ამირეჯიბი. გენერალ პეტრე ტეკელის 1789 წლის 29 მარტის პატაკი. როინ მეტრეველი 85. თბ. 2024, გვ. 333-336.

თის მთავრობისათვის სათანადო განმარტებები წარუდგენია.

ოსმალური საარქივო დოკუმენტის მიხედვით, 1791-1792 წლებში ერეკლე II-ს სულთნის კარისათვის ელჩ იოსებ ბარათაშვილის მეშვეობით წერილობით გამოუცხადებია: „... დიად სახელმწიფოში[55] გაიგებდნენ, რომ ერეკლე ხანმა მოსკოველებთან[56] დადო ხელშეკრულება ზოგიერთი პირობის გათვალისწინებით და თანაც მოსკოველებს თავისი ვაჟები მძევლად გადასცა. თუმცა, ამ ამბავის გაგება მოხდა არა ერეკლე ხანის წარმომადგენლებისგან, არამედ სხვებისგან. ახლა დიადმა სახელმწიფომ ამ საკითხის ჭეშმარიტება არასწორად იცის... მოდით ახსნა ეხლა ჩავწეროთ, ვიდრე შემდეგ ავხსნათ. {ელჩმა} განაცხადა, რომ იმისათვის, რათა შეკითხვები სამომავლოდ არ დარჩენილიყო და მოსკოველებთან კავშირის დამყარება აეხსნა, ფურცელზე დაწერილი საკუთარ ენაზე წაიკითხა და განმარტება გააკეთა. არსებული ვითარება ასეთია: ირანში, ჩვენთან ახლო ტერიტორიებზე, ცალკე შაჰი, ანუ დამოუკიდებელი სპარსი ფადიშაჰი, არ არის და აქამდე ჩვენ არავისთვის, მათ შორის არც დიადი სახელმწიფოსთვის სამსახური არ გაგვიწევია. ანუ დაღესტანი ჩვენი დაუძინებელი მტერია და ლეკების ტომი მავნე ტომია, მათთვის წინააღმდეგობის გაწევის სხვა გამოსავალი რომ არ დარჩა, მოსკოვს მიწერეს და გარკვეული რაოდენობა რუსი სამხედროები ჩამოიყვანეს. ეს მოსკოველი სამხედროები ტყუილად არ ჩამოუყვანიათ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხანის ორი ვაჟისა და ზოგიერთი ადგილის სანაცვლოდ. იმ პერიოდში დიად სახელმწიფოსა და რუსეთს შორის მშვიდობა იყო. ამ ვითარების გამო მოსკოველი სამხედროები თბილისში გააჩერეს და დიადი სახელმწიფოს მიწებზე შეჭრა არ მომხდარა. მოსკოველი სამხედროების მოყვანისას ხანის მიზანი იყო ლეკების თავდასხმებისგან თავდაცვა. ეს მოქმედება არანაირად არ ისახავდა მიზნად დიადი სახელმწიფოს ღალატს. ამ დროს ოსმალეთსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ამიტომ, ხსენებულმა ხანმა მოსკოველი სამხედროები მაშინვე გაიყვანა თბილისიდან, სახლში გაუშვა და შვილების უკან დაბრუნებისთვის წერილები და წარმომადგენლები გააგზავნა. ვაჟებიდან ერთი დაბრუნდა, მეორე ავად იყო და ვერ ჩამოვიდა და ამ დროისათვის უკვე ჩამოსული უნდა იყოს. როდესაც დიად სახელმწიფოსა და მოსკოველებს შორის ბრძოლა დაიწყო, მოსკოველი სამხედროები თბილისიდან გასულები იყვნენ და ხსენებულ ხანს გან-

[55] იგულისხმება ოსმალეთი.
[56] ასე მოიხსენიებდნენ ოსმალები რუსებს და რუსეთის იმპერიას.

ზრახული ჰქონდა დიადი სახელმწიფოსთვის ეცნობებინა ვითარება და რომ იგი ოსმალეთის ერთგული მონა იყო და როგორ ბრძანებასაც მიიღებდა, იმის მიხედვით იმოქმედებდა და ემსახურებოდა მას. მაგრამ... სულეიმან ფაშას მიერ გზების ჩაკეტვის გამო, ვერ აცნობა. ისე გამოვიდა, რომ ხსენებულ ხანს არ ჰქონდა შესაძლებლობა სცოდნოდა, თუ როგორი მატყუარები იყვნენ მოსკოველები. ჩამოყვანილი სამხედროები მხოლოდ ლეკების საწინააღმდეგოდ ჰყავდათ. ახლა როდესაც ჩილდირის ვალი ისჰაკ ფაშა გახდა, იგი არ იქნება სულეიმან ფაშას მსგავსი და ერეკლე ხანის მოკავშირე გახდება და შესაძლებელი იქნება ლეკების თავდასხმისგან დაცვა. დიადი სახელმწიფოს მოწყალე მზერა და კეთილგანწყობა საკმარისი იქნება, რომ სხვა ადგილებიდან სამხედროების ჩამოყვანის აუცილებლობა არ დადგეს ...“.[57]

როგორც ვხედავთ, ოსმალეთთან მოლაპარაკებების პროცესში ერეკლე II ცდილობდა, რომ საქართველოდან რუსული ჯარის გასვლისა (1787 წ.) და ანტონ ბატონიშვილის სამშობლოში დაბრუნების (1788 წ.) ფაქტები თავის სასარგებლო არგუმენტებად წარმოეჩინა. მეფე, 1788 წლის განმარტებისაგან განსხვავებით, ამჯერად აღარ ახსენებდა, რომ მირიანის გამოწვევა მის შესაძლებლობებს აღემატებოდა და ბატონიშვილის რუსეთში დაყოვნებას ავადმყოფობით ხსნიდა. ამ შემთვევაში ერეკლე არგუმენტად იყენებდა მირიანის რამდენიმე წლის წინანდელ ავადმყოფობის ფაქტს.[58]

ერეკლე II-ის განმარტებებს გარკვეული შედეგი უნდა გამოეღო, რადგან 1792 წლის შემდგომ, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ოსმალური მხარე ბატონიშვილის რუსეთიდან დაბრუნებას აღარ ითხოვდა.

როგორც ცნობილია, რუსეთის მთავრობამ მირიან ბატონიშვილს სამშობლოში დროებით დაბრუნების უფლება 1797 წლის მიწურულს მისცა, მაშინ როდესაც ერეკლე II მძიმედ დაავადებული იყო. ის საქართველოში 1798 წლის იანვრის თვეში დაბრუნდა, მაგრამ იმ დროს მეფე უკვე

[57] თურქეთის პრეზიდენტის ოსმალური არქივი, C..HR..-146/7252.

[58] მირიან ბატონიშვილის მიერ 1788 წლის 14 ივნისს კრემენჩუგიდან იაკობ რაინეგსისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ იმავე წლის გაზაფხულზე მას მძიმე ავადმყოფობა გადაუტანია. იხ.: იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 290.

გარდაცვლილი იყო.[59] შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მამის ავადმყოფობის გამო საიმპერატორო კარმა მირიანის მიმართ გულმოწყალება გამოიჩინა და საქართველოში ის ამ მოტივით დააბრუნა. თუმცა, იმდროინდელი პოლიტიკური მოვლენების ანალიზის შედეგად განსხვავებული რეალობა იკვეთება. საქმე ის იყო, რომ 1797 წლის შემოდგომიდან, ერეკლე II-ის უიმედო ავადმყოფობის პირობებში, რუსეთის მთავრობას მირიანის პიროვნების მიმართ ინტერესი უნდა დაეკარგა, რადგან მომავალ მეფეზე ზეწოლის ბერკეტად მას ვერ გამოიყენებდნენ. მით უფრო, რომ იმდროისათვის რუსეთში ქართლ-კახეთის მომავალი მეფის – გიორგის ვაჟი დავითი იმყოფებოდა, რომელიც ჯერ კიდევ 1796 წელს, რუსეთის ჯარის სამხრეთ კავკასიაში შემოსვლის დროს, გაიწვიეს. იმ პერიოდში რუსეთის იმპერია სხვა ბატონიშვილების გაწვევასაც გეგმავდა,[60] მაგრამ ეკატერინე II-ის გარდაცვალებისა და სამხრეთ კავკასიიდან რუსული ჯარის გასვლის გამო აღნიშნული გეგმა სრულად ვერ განხორციელდა.

როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობა იმთავითვე იმედოვნებდა, რომ მირიან ბატონიშვილი უკან აღარ დაბრუნდებოდა. შესაბამისად, ის მალევე დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. წყაროებით ირკვევა, რომ რუსეთის არმიის რიგებიდან დროებით დათხოვნილი მირიანი დათქმულ ვადაში უკან მართლაც აღარ დაბრუნდა. 1798 წლის 10 მარტის წერილით დარეჯან დედოფალი იმპერატორ პავლე I-ს ბოდიშს უხდიდა მირიანის საქართველოში შეყოვნების გამო და აცხადებდა, რომ მას აპრილში აუცილებლად გაისტუმრებდა.[61] იმავე წლის 14 მაისის წერილით კი ირკვევა, რომ მას პირობა არ შეუსრულებია. დედოფალი განმარტავდა, რომ შვილის რუსეთში გაგზავნას მაისში გეგმავდა, თუმცა სამხედრო კოლეგიიდან მისი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ შეტყობინება მიიღეს.[62]

ვფიქრობთ, მოხმობილი ცნობები ანტონ და მირიან ბატონიშვილების სტატუსის განსაზღვრის საფუძველს იძლევა. აშკარაა, რომ ბატონიშვილები რუსეთის საიმპერატორო კარზე ერეკლე II-ის წარმომადგენლე-

[59] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II. ბატონყმური ურთიერთობა (XV- XIX სს.). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1953, 192-193.

[60] მ. დუმბაძე. ერეკლეს მეფობის უკანასკნელი წლები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 768-777.

[61] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. т. II. вып. I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели. СПб. 1898, გვ. 148-149.

[62] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. т. II. вып. I, გვ. 150-151.

ბად არ უნდა განვიხილოთ. ისინი რეალურად რუსეთში პოლიტიკურ მძევლებად იმყოფებოდნენ.

როგორც ვნახეთ, მას შემდეგ, რაც ეკატერინე II-მ ბატონიშვილების რუსეთში გაწვევა გადაწყვიტა, ერეკლე II ჯერ აღნიშნული ვალდებულებისათვის თავის არიდებას შეძლებისდაგვარად ცდილობდა, შემდეგ კი მათ დაბრუნებას გადაჭრით ითხოვდა. მეფე თუ რუსი მოხელეების მოთხოვნით საიმპერატორო კარზე გაგზავნილ ოფიციალურ წერილებში შვილების გაწვევას იმპერატორის წყალობად აცხადებდა, ამ ფატს აბსოლუტურად განსხვავებულად აფასებდა ოსმალეთთან ურთიერთობისას და აღნიშნავდა, რომ მისი შვილები რუსებს მძევლებად ჰყავდათ წაყვანილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური მძევლების აყვანა რუსეთში დამკვიდრებულ ტრადიციას წარმოადგენდა. XVI-XVIII საუკუნეებში ჯერ მოსკოვის სახელმწიფო, შემდეგ რუსეთის იმპერია ახალათვისებულ და მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობასთან ურთიერთობის დროს აქტიურად იყენებდა პოლიტიკური მძევლების აყვანის პრაქტიკას, რომლებსაც „ამანათები“ (არაბ.) ეწოდებოდათ. „ამანათების“ საშუალებით რუსეთის სახელმწიფო დამორჩილებული ხალხის ლოიალობას უზრუნველყოფდა. მძევლების აყვანას წინ უსწრებდა სამხედრო მოქმედებები, ან დიპლომატიური მოლაპარაკებები მფარველობის თაობაზე. პოლიტიკურ მძევლებს შეზღუდული ჰქონდათ ქვეყნის დატოვება, თუმცა ისინი სხვადასხვა უფლებით სარგებლობდნენ. კერძოდ, მათ შეეძლოთ ახლობლებთან ურთიერთობა, არ ეკრძალებოდათ იარაღის ტარება, ეძლეოდათ გარკვეული თანხა, ჰქონდათ განათლების მიღებისა და იმპერიის ფარგლებში კარიერული წინსვლის შესაძლებლობა.[63]

ამდენად, ქართველი ბატონიშვილების რუსეთში ცხოვრების ხასიათი სრულ შესაბამისობაშია იმდროინდელი „ამანათების“, ანუ პოლიტიკური მძევლების სტატუსთან.

[63] გ. ჟუჟუნაშვილი. „ამანათობის“ ინსტიტუტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, გვ. 83-91.

Apolon Tabuashvili
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia;
Chief researcher,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

THE ISSUE OF HOSTAGES IN RUSSIAN-GEORGIAN RELATIONS (1784-1798S)

Summary

According to the opinion established in historiography, the Russian side did not try to take hostages from the Georgian kingdoms. After the signing of the "Treaty of Georgievsk", the departure of Erekle II's children - Mirian and Anton Batonishvili - to Russia is presented as a desirable reality for both sides.

In historical documents we find different information . From the letters of Caucasus line General-in-chief Pavel Potemkin turns out that the Russian side insisted on the immediate departure of Prince Mirian (Batonishvili) to St. Petersburg since the beginning of October 1783.

In Russia it was decided to call up Prince Anton (Batonishvili) soon after the signature of the treaty. From the same letters, we see that Erekle II left the request unanswered, which led to a corresponding reaction from Potemkin. Later the king of Kartli-Kakheti lingered on the departure of his children to Russia due to road problems and other circumstances. It is clear from the documents that from January 1784, the Russian side repeatedly demanded from the king to send royal children. As a result, they departed from Tbilisi to St Petersburg on May 23, 1784.

Archival documents confirm that after the departure of the princes, to return their children Erekle II and Queen Darejani were sending numerous letters to the imperial court. They applied different tactics to return the princes back. Eventually, the Russian government allowed Anton to return to Georgia in 1788, which was linked to his election as a Catholicos. Mirian was not released to his homeland until 1798. Mirian's departure was linked to the illness

of Erekle II. Mirian was no longer interesting to the empire because they could not use him as a lever to pressure the future king. At that time, Giorgi's son Prince Davit was in Russia, and the Imperial court shifted the focus to him.

According to the available reports, it can be said that the Georgian princes, regardless of the status of 'guest of honor', were held hostage in Russia. It is interesting that in one of the letters sent to Ottomans in 1791-1792, Erekle II himself mentioned that his children were taken as hostages by the Russians.